



RSF

ანაიკ ბუღალტრული აღრიცხვის
ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების
მხარდაჭერის ეროვნული ფონდი


დამატებული ღირებულების გადასახადში განხორციელებული რეფორმები, მიზნები და შედეგები

სტატიაში განხილულია საქართველოს საგადასახადო სისტემა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს წარმატებული ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ნაწილია და ნათლად ასახავს სოციალური კონტრაქტების ქმედუნარიანობას სახელმწიფოსა და საგადასახადო სუბიექტებს შორის. იგი მთლიანობაში ქმნის ბიზნესისათვის ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოს, ზრდის ამოცანების გადაწყვეტის, ბიზნესმწარმოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის რეალურ საფუძველს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკური ამოცანებს. მითითებული მიზნები მეტად აქტუალურია საქართველოს ერთიანი ევროინტეგრაციის სივრცეში მოხვედრის პერიოდის დასაწყისისათვის (საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოციაციის შეთანხმება წარმოადგენს ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება). საქართველოს მთავრობა გარკვეულწილად მობილიზებულია შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები და მოახდინოს შესაბამისი კანონმდებლობების ცვლილებები ევროკავშირის სტანდარტებიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები და ფეხი აუწყოს მსოფლიო გლობალიზაციის ტენდენციებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი არაპირდაპირ გადასახადებს უკავია და სწორედ მის ბაზაზე იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. ბოლო წლებში საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, თუმცა მაინც ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნების ტენდენციებს. უახლოეს წლებში განხორციელებულმა საგადასახადო პოლიტიკამ კიდევ უფრო დახვეწა საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრირების პროცესი, რამაც ეკონომიკის კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება/გაჯანსაღება და სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების სტაბილური ზრდა განაპირობა. სტატისის

მიზანია გაგაცნოთ ქართული ბიზნეს-სექტორის დამოკიდებულება ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის (კერძოდ დღგ-ის) მიმართ და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ბოლო წლების განმავლობაში დღგ-სთან დაკავშირებით განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები, რეგულაციები და მათი გავლენა ბიზნესზე. ასევე განხილული იქნება შემოსავლების სამსახურის ახალი, „დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემის დანერგვის საფუძველზე ბიზნესში დამატებითი ინვესტიციების ჩაბრუნების სიკეთის შეფასება.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში დღგ ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია, რამდენადაც არაპირდაპირი გადასახადების საგადასახადო შემოსავლების უდიდესი წილი სწორედ მასზე მოდის. დამატებული ღირებულების გადასახადი საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დღგ-ის ძირითადი ფუნქცია ფისკალურია და მისგან შემოსული მთლიანი თანხა საქართველოს ცენტრალურ, ნაერთ ბიუჯეტში გროვდება.



გრაფიკი №3, წყარო, mof.ge, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების მონაცემები (მლნ. ლარი), 02.05.2019


საქართველოში ამჟამად მოქმედებს დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) 18%-იანი განაკვეთი, რომელიც 1992 წლიდან რამდენჯერმე შეიცვალა (სსკ-ის 1992 წლის 15 მარტის კოდექსით – 25%, 1997

წლის 13 ივნისის რეაქციით – 20% და 2005 წლის 1 ივლისიდან დღემდე მოქმედი კოდექსებით შეჩერებულია 18%-იან განაკვეთზე).

საქართველოს მაგალითზე არაპირდაპირი გადასახადების წილი მნიშვნელოვნად აღემატება პირდაპირი გადასახადებისგან მიღებულ შემოსავალს, რის გამოც არაპირდაპირი გადასახადების დაბეგვრის სისტემა მუდმივად მოითხოვს შესწავლას და თეორიულ და პრაქტიკულ განვითარებას. საქართველოში არაპირდაპირი გადასახადების წილის გაზრდის მიზნით უნდა სავარაუდოდ ნიშნავს ქვეყანაში მოქმედი სამეწარმეო კანონმდებლობის არასრულყოფილობას, რაც ზრდის ბიზნესის ადმინისტრირების დაბალი ღონის, „ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობისა და საქართველოში მოქმედი გადასახადების ეკონომიკური ფუნქციის შეუსრულებლობის პირდაპირ მტკიცებულებას.

2016 წელს, საქართველოში მყოფი სავალუტო ფონდის ექსპერტების შეფასებით, საქართველოსათვის დამახასიათებელი საგადასახადო ზედმეტობის დაბრუნების სისტემის პროცედურის ხარვეზები დამატებული ღირებულების გადასახადის არსს ლახავდა და ერთიანი საგადასახადო სისტემის ტექნიკური შეფასებისას, მათ ეს საკითხი ყველაზე დაბალი „D“ მანქანებით შეაფასეს. ამის მიზეზი კი ის აღმოჩნდა, რომ დაბრუნების განაცხადის შეფასება არ ხდებოდა რისკის კრიტერიუმების საფუძველზე და ის გადამხდელები, რომლებსაც კანონთან შესაბამისობის კარგი ისტორია ჰქონდათ, ისეთივე დამოკიდებულებით სარგებლობენ, როგორც ცუდი ისტორიის მქონე გადამხდელები. შედეგად, ორივე კატეგორია, კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი გადამხდელიც, ზედმეტობის მოთხოვნისთანავე ექვემდებარებოდა ერთსა და იმავე დეტალურ საგადასახადო შემოწმების პროცესს. სსფ-ის შეფასებით, 2015 წლის ბოლოსათვის საქართველოს სახელმწიფოს უკვე ჰქონდა მნიშვნელოვნად ჭარბი რაოდენობის დაგროვილი დღგ-ის კრედიტები (1.087 მლრდ ლარი), რაც რისკს წარმოადგენდა ხელისუფლებისათვის და ამასთან ეკონომიკურად აფერხებდა ბიზნესსექტორის განვითარებას. მათთვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რატომ არ ითხოვდნენ ბიზნესები ზედმეტობის დაბრუნებას, რომლებიც მათ სრული წესების დაცვის შემთხვევაში ეკუთვნოდათ. მეორე მხრიდან რომ შევხედოთ, საქართველოში წინა წლებში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ ბიზნეს-სუბიექტმა იცოდა, რომ საგადასახადო ნარჩენი ზედმეტობის მოთხოვნა მისი შემოწმების (სრული კამერალური ან გასვლითი) პირდაპირი საფუძველი შეიძლება გამხდარიყო და შესაბამისად თავს იკავებდა ამ პროცედურისაგან.

სავალუტო ფონდის მიერ გაკეთებული შეფასების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საქმე სასიკეთოდ წარიმართა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა არაერთი რეფორმა გაატარა დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების გამარტივების ფარგლებში.



გრაფიკი №4, წყარო, www.rs.ge წლიური ანგარიშები, 30.05.2019

2019 წლის 14 თებერვალს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №42 ბრძანება, რომელიც შეეხო დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატურ დაბრუნებას.

2019 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდიდან, გადასახადის გადამხდელებს საშუალება მიეცათ დღგ-ის ყოველთვიური საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე წარმოშობილი ზედმეტობა ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნონ. დღგ-ის ავტომატური დაბრუნება ითვალისწინებს დღგ-ისაგან წარმოქმნილი ზედმეტობის ახალი და გამარტივებული სისტემით დაბრუნებას დეკლარაციის წარდგენისთანავე. ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ, 2019 წლის იანვრისა და შემდგომი საანგარიშო პერიოდების დეკლარაციების შეფასება რისკებზე დაფუძნებული ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით მოხდება. დაბალი რისკის დეკლარაციები (წარმოდგენილი დეკლარაციების არანაკლებ ოთხმოცდაათი პროცენტი იქნება), ყოველთვიურად აისახება დღგ-ის დაბრუნების ბარათზე, ხოლო მაღალი რისკის დეკლარაციები (თვის მანძილზე წარმოდგენილი დეკლარაციების ათი პროცენტი), ხელით შესწავლის რეჟიმში გადავა. შესწავლის შემდეგ შესაძლებელია (10% მოხვედრილი) დეკლარაციით დასარიცხი თანხების კორექტირება/დეკლარირებული მონაცემების შეუცვლელად ასახვა გადამხდელის პირად ბარათზე. მოთხოვნილი ზედმეტობის თანხა ბრუნდება მეწარმის მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პორტალზე (გადამხდელის პირად გვერდზე) შესაბამის ლილაკზე დაჭერით. პროცესი სრულად ეფუძნება ავტომატურ რეჟიმში მოქმედ რისკზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას.

შემოსავლების სამსახურის მიერ დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების სისტემის ამოქმედება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: გადასახადის გადამხდელი ახორციელებს 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ საანგარიშო პერიოდზე დღგ-ის დეკლარაციის წარმოდგენას, რომელიც ავტომატურად გადის რისკებზე დაფუძნებულ პროგრამას და ხდება წარმოდგენილი დეკლარაციის დახარისხება რისკის კატეგორიის მიხედვით. თავის მხრივ, რისკის სიდიდიდან გამომდინარე, სხვადასხვა მოდულების

მიხედვით (როგორც ზევით აღვნიშნეთ ესენია თაღლითობის, ავტომატური დაბრუნების, ვალიდაციისა და რეგისტრაციის მოდულები. თვითოეული მოდულის მიხედვით გამოვლენილი რისკების შესწავლა სხვადასხვა პრინციპით მიმდინარეობს) წყდება ის დამატებითი კონტროლის პროცედურები, რომელიც უნდა გაიაროს დეკლარაციამ, იქნება ეს კონკრეტულად მხოლოდ ამ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების შესწავლა თუ ზოგადად მეწარმე სუბიექტის საგადასახადო შემოწმების დანიშვნა, შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული პროცედურები ავტომატურია და დაკავშირებული არ არის გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტობის მოთხოვნის განცხადებასთან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეწარმე არ აპირებს დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე წარმოშობილი ზედმეტობის მოთხოვნას, შემოსავლების სამსახური მაინც ახორციელებს რისკებში მოხვედრილი დღგ-ის ყოველთვიური დეკლარაციის შესწავლას და გადასახადის გადამხდელისათვის დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნას. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სისტემა დასახვეწია, საგარაუდოდ, თუ მეწარმის მიერ სხვადასხვა საანგარიშო პერიოდებზე წარმოდგენილი დღგ-ის დეკლარაციას უფიქსირდება ერთიდაიგივე რისკი, ბიზნეს-სუბიექტს უწევს ერთი შინაარსის ახსნა-განმარტების/ინფორმაციის რამდენჯერმე წარდგენა შემოსავლების სამსახურში, რაც მათ უკმაყოფილებასთან ერთად მოითხოვს დამატებით ფინანსურ და დროით რესურსებს.

კვლევის სირთულიდან, ინფორმაციის ბაზების მოუწესრიგებლობიდან, არასანდოობისა და მათი გავრცელების სიმწირიდან გამომდინარე და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არსებული არაპირდაპირი გადასახადებიდან ბიუჯეტის შევსებაში განსაკუთრებული როლი დღგ-ს აკისრია, შემოსავლების სამსახურის 2018 წლის ანგარიშში ასახულია ის აქტივობები, რომელიც განხორციელდა აღნიშნული პროექტის ფარგლებში:

- ✓ დღგ-ის ავტომატური დაბრუნების რისკების ლოგიკური მოდელის პროგრამული უზრუნველყოფა;
- ✓ დღგ-ის დეკლარაციების ვალიდაციის ლოგიკური მოდელის პროგრამული უზრუნველყოფა, რის საფუძველზეც განხორციელდა რისკების სეგმენტაცია და მათი გადანაწილება შესაბამის მოდულებში;
- ✓ გადასახადის გადამხდელთა სიდიდის ჭრილში სეგმენტაციის მოდული დაიყო ორ ნაწილად: ავტომატური დათვლა და პროგრამით აღრიცხვა;
- ✓ „თეთრი სიის“ მოდულის კრიტერიუმების შედგენა დასრულებულია და პროგრამული უზრუნველყოფის მოდულის შექმნა;
- ✓ რეგისტრაციისა და დღგ-ის ავტომატურ დაბრუნებაზე უარის თქმის მოდელი;
- ✓ დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროცესების აღრიცხვის პროგრამული მოდელის პროგრამული უზრუნველყოფა დასრულებულია, რის საფუძველზეც შეიქმნა ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმა (მწვანე ბარათი).

✓ მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ საუკეთესო სისტემის მახასიათებლების შესახებ სამუშაო დოკუმენტის შესაწავლის საფუძველზე გამოიკვეთა ის მახასიათებლები, რომლის დანერგვაც ამ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა მოახდინა (ზედმეტობის თანხით მოხდეს არსებული სხვა საგადასახადო დავალიანების გადაფარვა. 2016 წლიდან გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ბარათების გაერთიანების საფუძველზე ეს პრობლემა აღმოიფხვრა და ამჟამად ავტომატურად ინაშთება ზედმეტობიდან საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნის პირველი საფუძველის წარმოშობისთანავე). თუმცა, ამავე დოკუმენტის გაანალიზებისას რეკომენდირებულია იმ საუკეთესო მახასიათებლების დამატებითი რეფორმების სახით გატარებაც, რაც ქართულ ბიზნესს და ბიზნეს სუბიექტებს ნამდვილად კარგ პირობებში ჩააყენებდა (კვიან დაბრუნების შემთხვევაში პროცენტის გადახდა გადამხდელისთვის).


სტატიის დამუშავებისას ჩატარდა კვლევა, რომლის საკვლევი ნაწილის შესასრულებლად გამოყენებული იქნა საგადასახადო კანონმდებლობა, მისი ნორმატიული საფუძველები, ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკა, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საერთაშორისო ფინანსური კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკვლევები. კვლევისას გამოიკითხა ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობა პირდაპირ დაკავშირებულია იმპორტზე და ამ ბიზნესთან დაკავშირებული ბუღალტრები, ფინანსისტები, ეკონომისტები, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ აღნიშნულ სექტორში. ასევე გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან.

კვლევის მთავარი მიზანი იყო მომხდარიყო საქართველოს მთავრობის განხორციელებული რეფორმის, „დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების სისტემის შეფასება: ნამდვილად მოხდება თუ არა ფინანსური რესურსების ჩაბრუნება ბიზნესში: წლების განმავლობაში მოხდა თუ არა ბიზნესსექტორში ნდობის გაჩენა და ზედმეტობის მოთხოვნის მსურველთა რაოდენობის ზრდა.

უდავოა, რომ აღნიშნული პროექტი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის და ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის ბიზნესში დაბრუნება ზრდის მეწარმეთა ფინანსურ რესურსებს, თავიდან აცილებს მათ დამატებით სესხების პროცენტების ხარჯებს და აძლევს საშუალებას გონივრულად, ზედმეტი დანახარჯების გარეშე მართონ ბიზნესი. თუმცა, ამ ეტაპზე, სამეწარმეო სექტორი მაინც ვერ ახერხებს აღნიშნული სერვისის მიღებას დამატებითი კონტროლის პროცედურების გავლის გარეშე (დღგ-ის

საანგარიშო პერიოდის დეკლარაციის შესწავლა, საგადასახადო შემოწმების დანიშვნა, დამატებითი ახსნა-განმარტებების მიწოდება საგადასახადო ორგანოსათვის და ა.შ.). შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა (მონაცემები მოწოდებულია 2019 წლის 1 ივნისის მდგომარეობით), რომ 2019 წლის იანვარი-აპრილის თვის საანგარიშო პერიოდზე შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაბარებულ იქნა 235 618 დღგ-ის დეკლარაცია (მონაცემები შეიძლება შეიცვალოს გადასახადის გადამხდელების მიერ დამატებით წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით), მ.შ. ამავე პერიოდზე შემცირებით არის წარდგენილი 66 302 დეკლარაცია (თანხით 782 361 318 ლარი), რომელთაგან დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების რისკებზე დაფუძნებული სისტემის გავლის შემდეგ ავტომატურად „მწვანე ბარათზე“ გატარდა 62 533 დეკლარაცია (თანხით 499 059 278 ლარი, რომლის მოთხოვნაც გადამხდელს ნებისმიერ დროს შეუძლია, თუ პირად ბარათზე ნარჩენი ზედმეტობა უფიქსირდება).

საინტერესოა ის სტატისტიკაც, რომ შემოსავლების სამსახურს „დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების სისტემის ფარგლებში თანხის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა მხოლოდ 1 523 მეწარმე სუბიექტმა (თანხით 83 737 763 ლარი), რაც „მწვანე ბარათზე“ გადასული დეკლარაციების მხოლოდ 2%-ია




გრაფიკი №5, წყარო, შემოსავლების სამსახურისაგან გამოთხოვნილი ინფორმაცია „დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების სისტემით დაბრუნებული თანხების შესახებ“ (2019 წლის 16 თებერვალი – 17 ივნისის მდგომარეობით)

ამ მონაცემებით ცალსახად ირკვევა, რომ გადასახადის გადამხდელთა ნდობა შემოსავლების სამსახურის მიმართ ან თუნდაც საგადასახადო ცნობიერება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ზედმეტობა თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს, საკმაოდ დაბალია. მათი უმეტესობა, ძველი მანკიერი პრაქტიკის (მეწარმეთა უმეტეს ნაწილს, კეთილსინდისიერი იყო ის თუ არაკეთილსინდისიერი, ზედმეტობის მოთხოვნის შემთხვევაში მაღალი ალბათობით ენიშნებოდა ეკონომიკური საქმიანობის სრული საგადასახადო შემოწმება, არის გამოც დამკვიდრდა პრაქტიკა გადამხდელის პირად ბარათზე არსებული ზედმეტობის არ მოთხოვნასთან დაკავშირებით)

გათვალისწინების საფუძველზე, საგადასახადო კონტროლის განხორციელების თავიდან ასარიდებლად, ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები კონტაქტი დაამყაროს შემოსავლების სამსახურთან, რაც თავისთავად აფერხებს თავისუფალი საბრუნავი საშუალებების ჩაბრუნებას ბიზნესში და ამცირებს ბიზნეს-სუბიექტის განვითარების ზრდის ტემპს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მეწარმეთა ნაწილი უბრალოდ თავს იკავებს ზედმეტობის მოთხოვნისაგან და კარგავს ბიზნესის გაფართოების საშუალებას (ჩატარებული კვლევის საფუძველზე, გამოკითხულთა დაახლოებით 72%) (იხილეთ დიაგრამა 14).

14. გისარგებლიათ თუ არა "დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების" სისტემით?



თუმცა იმ გადასახადის გადამხდელებისათვის, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, ისარგებლეს და დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების სისტემის საფუძველზე მოითხოვეს ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხები (დაახლოებით 28 %), მათ მიერ თანხების დაბრუნების მოთხოვნას დამატებითი პროცედურები არ მოჰყოლია. ეს კი ცალსახად შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ იმ გადასახადის გადამხდელებს, რომლებსაც აქვთ მეტი ცნობადობა საკუთარ უფლებებზე და ფლობენ მოწესრიგებულ საგადასახადო ისტორიას, რისკზე დაფუძნებული პროგრამის საფუძველზე შემოსავლების სამსახური აკვალიფიცირებს დაბალი რისკის მატარებელ გადამხდელად და მათ მიერ ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხის მოთხოვნასაც არანაირი დამატებითი კონტროლის პროცედურები არ გამოუწვევია (შესწავლა, საგადასახადო შემოწმება).

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროექტი დიდი ხანი არ არის რაც ამოქმედდა, საგარაუდოა, რომ შემოსავლების სამსახურს დრო სჭირდება, როგორც პროექტის დახვეწისათვის, ასევე ბიზნესსექტორის ნდობის მოსაპოვებლად. სასურველი იქნება, რომ შემოსავლების სამსახურმა მოახდინოს აღნიშნული პროექტის საზოგადოებისათვის სწორი წარდგენა, მათთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება და შეეცადოს რისკებზე დაფუძნებული პროგრამის ისე დახვეწას, რომ თუნდაც ერთი და იგივე საკითხზე გადამხდელის რესურსების მოცდენა აღარ იყოს საჭირო.

გვანცა მაჭარაშვილი

**ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრი
საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი**